ხონის მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის გეოგრაფიული თავისებურებანი

თამთა ბობოხიძე

ელ-ფოსტა: tamta.boboxidze13@gmail.com

გეოგრაფიის დეპარტამენტი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ილია ჭავჭავაძის N1

ანოტაცია

საქართველოში ტურიზმის განვითარება დაიწყოს მე-19 საუკუნის ბოლოდან და ამჟამად ეკონომიკის ერთ-ერთ წამყვან დარგად ჩამოყალიბდა. უკანასკნელ ათწლეულში მისმა განვითარებამ არნახულ მასშტაბებს მიაღწია,რამაც განაპირობა ყოველწლიურად ტურისტთა ნაკადების და მათი მოთხოვნების ზრდა.ტურიზმის განვითარების მთავარ ფაქტორს ის უნიკალური ბუნება წარმოადგენს,რომლითაც ჩვენი ქვეყანაა დაჯილდოვებული.

ნაშრომში განხილულია ხონის მუნიციპალიტეტის ტურისტულად ნაკლებად ცნობილი ობიექტები,მათი განვითარების პოტენციალი,შექმნილია ტურისტული მარშრუტები ცნობილი და უცნობი ტურისტული ობიექტებიდან.

ხონის მუნიციპალიტეტს აქვს იმის რესურსი,რომ აქ განვითარდეს ტურიზმის არაერთი სახეობა,რომელიც რაიონს ახალი კუთხით წარმოაჩენს და მის მრავალფეროვნებას გაუსვამს ხაზს.